ხელშეკრულება №0300/10/001
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000010)

ქ. თბილისი

6 იანვარი, 2014 წ.

ერთის მხრივ, **შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"**, შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლევან კოპლატაძის სახით, სახით და **მეორეს მხრივ, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"–ს იურისტის კახაბერ გოგოლაძის (პ/ნ 01006008662 თანახმად 08.04.2013 წლის მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს ნ.გინტურის მიერ) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N1816 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარეხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ **საწვავის** შესყიდვა ერთჯერადად ან ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. „საწვავი"-ს შეძენა განხორციელდება სითხის სახით. „საწვავის" მიწოდებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი", „შემსყიდველი"-ს მიერ (მოთხოვნის შესაბამისად) დანართი №2-ით მითითებულ მისამართ(ებ)ზე, ხოლო საწვავის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის საბითუმო ბაზ(ებ)იდან (მისამართი: ქ.თბილისი ქვემო ალექსეევკის დასახლება, ქ.თბილისი, მე-8 ლეგიონის მოპირდაპირედ, კახეთის გზატკეცილის №44-ის მოპირდაპირედ, ქ.ქუთაისი ორახელაშვილის ქ. #14).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **14'025'000 (თოთხმეტი მილიონ ოცდახუთი ათასი)** ლარს.

3.2. საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. საწვავის ეტაპობრივად შესყიდვის შემთხვევაში, საწვავის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე–4 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურით.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

4. საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1 გამარჯვებული მიმწოდებლის საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ დიზელზე (ლარში); R –აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი დიზელის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში. გამარჯვებული მიმწოდებლის 1 ლიტრი დიზელის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"–ს იურისტი
კახაბერ გოგოლაძე

ქ. თბილისი 6 იანვარი, 2014 წ.

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის (საანგარიშო თვე) შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას დიზელის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში დიზელის მიწოდების მოთხოვნის დღეს ერთი ლიტრი დიზელის არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები.

4.2 C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში.

4.3 C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს ერთი ლიტრი [შესაბამისი მარკის საწვავის] არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი დიზელის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი დიზელის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 არით) ნაკლები.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში - სატენდერო კომისია).

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს **P** და **R** და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი [შესაბამისი მარკის საწვავის] 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებელის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4.6 მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი [შესაბამისი მარკის საწვავის] ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2013@spa.gov.ge.

4.7 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია დღგ-სგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საწვავის ფასი დაანგარიშდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (**C**) გამოკლებული დღგ.

5 მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.4 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს შემსყიდველისათვის „საწვავის" სითხის სახით მიწოდება, შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე (დანართი N2), საჭიროებისამებრ ყოველ სამუშაო დღეს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წერილობით მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად, მომდევნო სამუშაო დღის 15:00 საათამდე. დიზელის საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს დაკალიბრებული საწვავმზიდებით.

ბ) შესაბამისი მოცულობის საწვავმზიდში საწვავის ჩასხმის დასრულების შემდეგ (ტრანსპორტირების დაწყებამდე), შემსყიდველს მიაწოდოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

გ) წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, შემსყიდველის მხრიდან დადასტურების შემდეგ, დაიწყოს საწვავის ტრანსპორტირება-მიწოდება დანიშნულების ადგილზე.

დ) შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილ პირთან გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი №3), საწვავის გადაცემაზე.

ე) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ნებისმიერი რისკი გადადის შემსყიდველზე,

ვ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ზ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.5 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) თუ 7.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველის ბრალეულობით არ მოხდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურება, საწვავის მიწოდების კონკრეტული შესაბამისი მოთხოვნა უქმდება, ხოლო მსგავსის გამეორება განხილული იქნება შემსყიდველი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად.

5.6 **შემსყიდველი ვალდებულია:**

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
ლევან კობლიტაძე გენერალური დირექტორი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს იურისტი კახაბერ გოგოლაძე

ხელშეკრულება №0300/10/001
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000010)

ქ. თბილისი

6 იანვარი, 2014 წ.

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება):შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: 5,1 ობიექტში (ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია) და მე-20 ობიექტში (მუხიანის დასახლება პედაგოგიური კოლეჯის მიმდებარე ტერიტორია) - ელექტრომექანიკური სამსახურის მთ. ინჟინერი ავთანდილ ჯოხაძე, №1 ავტობაზაში: ავთანდილ სისვაძე - მთავარი ინჟინერი, ვ. ხუციშვილი - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, ზ. კვაჭაძე - საწვავის გამმართველი, მ. მახათაძე - საწვავის გამმართველი, ბ. თევდორაშვილი - საწვავის გამმართველი, თ. იონათამიშვილი-საწვავის გამმართველი. №2 ავტობაზაში: ზაზა ლოლაძე - მთავარი ინჟინერი, დ. კობიაშვილი - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, რ. დალაქიშვილი - საწვავის გამმართველი, ო. ბიბილეიშვილი - საწვავის გამმართველი, ბ. გვიმრაძე - საწვავის გამმართველი, რ. ნიკოლეიშვილი-საწვავის გამმართველი. №3 ავტობაზაში: რამაზ სიხარულიძე-მთავარი ინჟინერი, მ. მაისურაძე - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, გ. ქურდაძე - საწვავის გამმართველი, შ. ფრიდონაშვილი - საწვავის გამმართველი, გ. ფერიშვილი-საწვავის გამმართველი, ნ. ცერცვაძე - საწვავის გამმართველი (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით.

გ) წერილობითი მოთხოვნა წარმოუდგინოს მიმწოდებელს, საწვავის სითხის სახით შესყიდვის თაობაზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე tenders@sgp.ge. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს რაოდენობა ლიტრებში,

ე) საწვავის მიღებისას დაიცვას ნავთობროდუქტების მიღებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები და ნორმები.

ვ) შეუქმნას მიმწოდებელს საწვავის ადგილზე მიწოდება/დაცლისათვის ყველა ტექნიკური და აუცილებელი პირობა.

თ) საწვავის დანიშნულების ადგილზე მიტანისას, რეზერვუარში ჩასხმამდე მოახდინოს საწვავის ინსპექტირება და გააფორმოს მიმწოდებელთან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი №3) უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

ი) ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფი ვალდებულია:

გაუწიოს კონტროლი საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის და/ან მისი ნაწილის ხარისხზე და შემოწმების აქტის საფუძველზე დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: საქონლის მიწოდებისთანავე აიღოს საწვავის ნიმუში და მოახდინოს მათი დალუქვა. სინჯების აღება უნდა განხორციელდეს საწვავ მზიდის ცისტერნის ზედა ყელიდან სწორ ადგილას, მისი გაჩერებიდან არანაკლებ 30 წუთის გასვლის შემდეგ. ნიმუშის აღება და დალუქვა აუცილებლად უნდა განხორციელდეს 2 ცალად, ერთი ნიმუში დალუქულ მდგომარეობაში უნდა გადაეცეს მიმწოდებლის წარმომადგენელს, ხოლო მეორე ნიმუში რჩება შემსყიდველის უფლებამოსილ პირთან. ნიმუშის აღება, დალუქვა და შემდგომი გადაცემა მიმწოდებლის წარმომადგენლისათვის აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული ამ საწვავის გადაცემაზე გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში, სადაც უნდა მიეთითოს ნიმუშის აღების თარიღი, იმ პირის ვინაობა და თანამდებობა, რომელმაც აიღო ნიმუში და მოახდინა დალუქვა, აგრეთვე იმ სპეციალური ანგარიშ-ფაქტურის ნომერი, რომლითაც მიწოდებულია ეს საწვავი. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ნიმუშში მოთავსებული საწვავის ხარისხის შემოწმება. შემოწმების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მიმწოდებელს წერილობით (ან ფაქსის მეშვეობით) შემოწმებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაასწროს თავისი წარმომადგენელი შემოწმების პროცესს, აგრეთვე მოითხოვოს მასთან არსებული მეორე ნიმუშის შემოწმება. აღებული ნიმუშის შენახვის ვადა განისაზღვრება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით მისი აღებიდან. შემსყიდველის მიერ საწვავის გარკვეული პარტიის ერთიანად შესყიდვის შემთხვევაში ნიმუშის აღება ხდება დასაწყობების ადგილზე, რეზერვუარში, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. აღნიშნული პროცედურის შემდეგ რეზერვუარი ორმხრივად ილუქება საწვავის მიწოდების დაწყებამდე.

ნიმუშს თან უნდა ერთვოდეს:

- ნიმუშის აღების თარიღი;
- იმ სპეციალური ანგარიშ-ფაქტურის ნომერი, რომლითაც მიწოდებულია ეს საწვავი;
- იმ პირთა ხელმოწერები, რომლებმაც განახორციელეს საწვავის ნიმუშის აღება;
- ნიმუშის აღების ადგილი.

ინსპექტირებისას ავტობაზის მთავარი ინჟინერი:

- ავსებს და ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს;
- ამოწმებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულების მოთხოვნებთან;
- აკონტროლებს დიზელის საწვავის ნიმუშების აღების პროცესის შესაბამისობას ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნიმუშის აღების მოთხოვნებთან;
- შესყიდვების სამსახურს, წერილობითი ფორმით, (16:00 საათამდე) უგზავნის ყოველდღიურ ინფორმაციას მომდევნო დღეს მოსაწოდებელი დიზელის საწვავის რაოდენობის შესახებ, ხოლო ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღის 16:00 საათამდე, უგზავნის ინფორმაციას ყოველდღიურად საჭირო დიზელის საწვავის რაოდენობის შესახებ მომდევნო კვირის პირველი სამუშაო დღის ჩათვლით.

ინსპექტირებისას ავტობაზის საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი:

- ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს;
- ახორციელებს დიზელის საწვავის ნიმუშების აღებას, ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნიმუშის აღების პროცესის შესაბამისად;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დიზელის საწვავის ნიმუშის ლაბორატორიულ შემოწმებას.

ინსპექტირებისას ავტობაზის საწვავის გამმართველი:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
ლევან კოპლატაძე გენერალური დირექტორი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს იურისტი კახაბერ გოგოლაძე

ქ. თბილისი 6 იანვარი, 2014 წ.

- ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს;
- ცვლის მიღებამდე, მიმწოდებლის ბაზაში ესწრება საწვავ მზიდის ცისტერნის შევსებას და აცილებს საწვავ მზიდს ავტობაზაში;
- ავტობაზის საწვავის გასამართი სადგურის ავზების შევსებამდე, იბარებს წინა ცვლის ნაშთებს, რაც დასტურდება შესაბამის ჟურნალში ხელმოწერით;
- ცვლის გადაბარების შემდგომ ახორციელებს საწვავის გასამართი სადგურის ავზების შევსებას.
- ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს, სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასთან ერთად გადასცემს ცენტრალურ ბუღალტერიას არაუგვიანეს მეორე დღისა, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის თითო ასლს უგზავნის შესყიდვების სამსახურსა და გენერალურ ინსპექციას.

ინსპექტირების ჯგუფებმა დიზელის საწვავის მიღება უნდა განახორციელონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (დანართი №3-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

- შესყიდვების სამსახურის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) ავტობაზებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმწოდებელს არაუგვიანეს წინა სამუშაო დღის 16:00 საათისა, უგზავნის მოთხოვნას (ელ.ფოსტით: tenders@sgp.ge) მოსაწოდებელი დიზელის საწვავის რაოდენობის შესახებ.

კ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.7 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) საწვავის შესყიდვის წესის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმწოდებელთან მიავლინოს, უფლებამოსილი პირი, რომელიც მიმწოდებლის საბითუმო ბაზაზე დაესწრება და ინსპექტირებას ჩაუტარებს მისაწოდებელი საწვავის საწვავმზიდში ჩასხმას. სათანადო ინფორმაციას მიაწვდის საფინანსო სამსახურს ანგარიშ-ფაქტურის დროული დადასტურებისათვის.

ბ) მოთხოვნის წარდგენამდე მხარეების ლოჯისტიკური საშუალებებიდან (შესანახი რეზერვუარის, საწვავმზიდის ავზის ან ავზის დანაყოფის მოცულობა, უსაფრთხოებასთან და რაოდენობის ზუსტ აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები) გამომდინარე, მიმწოდებელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მოახდინოს სითხის სახით მისაწოდობელი რაოდენობის განსაზღვრა.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული საბითუმო ბაზ(ებ)იდან უზრუნველყოს საწვავის სინჯის აღება და სატენდერო კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა ესწრებოდეს სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინჯი დაილუქება და გადაეცემა შესაბამის ლაბორატორიას.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა დაადასტუროს ან უარი თქვას დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით, გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას

ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი[შესაბამისი მარკის საწვავის]ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

9.3 შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2 ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14 დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
ლევან კოპლატაძე გენერალური დირექტორი	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"–ს იურისტი კახაბერ გოგოლაძე

ქ. თბილისი

6 იანვარი, 2014 წ.

15 **სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

16 **მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი:

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE32BG0000000127527201; ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788

მიმწოდებელი:

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
მის.: ქ.თბილისი, 300 არაგველის 24
საიდენტიფიკაცო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს იურისტი
კახაბერ გოგოლაძე

ხელშეკრულება №0300/10/001
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000010)

ქ. თბილისი 6 იანვარი, 2014 წ.

დანართი №1

2014 წლის 6 იანვრის №0300/10/001 ხელშეკრულებაზე

#	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	დიზელი L-62	(PPM 50 და მეტი)	7'500'000 ლიტრი	1,87 ლარი	14'025'000 ლარი	შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საწვავგასამართი სადგურები: №1 ავტობაზა - პოლიციის ქ. №7; №2 ავტობაზა - ხევმმარის ქ. №1; №3 ავტობაზა - წყალსადენის ქ. №16. 5,1 ობიექტი - ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია; მე-20 ობიექტი - მუხიანის დასახლება პედაგოგიური კოლეჯის მიმდებარე ტერიტორია.	**ხელშეკრულების გაფორმებიდან 31.12.2014-ის ჩთ.**

"შესყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტოკომპანია"

ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს იურისტი
კახაბერ გოგოლაძე

ხელშეკრულება №0300/10/001
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000010)

ქ. თბილისი

6 იანვარი, 2014 წ.

დანართი N2

საქონლის მიწოდების ადგილი

მისამართი	რეზერვუარის მოცულობა (ლიტრი)	რეზერვუარის სპეციფიკური. მონაცემები (მიწისქვეშა მიწის ზედა)	უფლებამოსილი პირ(ებ)ი მიწოდების ადგილზე (გვარი,სახელი,თანამდებობა)
№1 ავტობაზა - პოლიციის ქ. №7 (კოდი - 1510508)	23992 ლიტრი; 24042 ლიტრი.	მიწისქვეშა	ავთანდილ სისვაძე - მთავარი ინჟინერი (მობ: 577226 227; ელ.ფოსტა Asisvadze@metro.ge) ვ. ხუციშვილი - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, ზ. კვაჭაძე - საწვავის გამმართველი, მ. მახათაძე - საწვავის გამმართველი, ბ. თევდორაშვილი - საწვავის გამმართველი, თ. იონათამიშვილი-საწვავის გამმართველი.
№2 ავტობაზა - ხევძმარის ქ. №1; (კოდი - 1510505)	23351 ლიტრი; 23695 ლიტრი.	მიწის ზედა	ზაზა ლოლაძე - მთავარი ინჟინერი ((მობ: 577 228209; ელ.ფოსტა Zloladze@metro.ge) დ. კობიაშვილი - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, რ. დალაქიშვილი - საწვავის გამმართველი, ო. ბიბილეიშვილი - საწვავის გამმართველი, ბ. გვიმრაძე - საწვავის გამმართველი, რ. ნიკოლეიშვილი-საწვავის გამმართველი.
№3 ავტობაზა - წყალსადენის ქ. №16 (კოდი - 1510506)	23670 ლიტრი; 23341 ლიტრი.	მიწისქვეშა	რამაზ სიხარულიძე-მთავარი ინჟინერი ((მობ: 577 228213; ელ.ფოსტა Rsixarulidze@metro.ge) მ. მაისურაძე - საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი, გ. ქურდაძე - საწვავის გამმართველი, შ. ფრიდონაშვილი - საწვავის გამმართველი, გ. ფერიშვილი-საწვავის გამმართველი, ნ. ცერცვაძე - საწვავის გამმართველი
5,1 ობიექტი - ორთაჭალესის მიმდებარე ტერიტორია;	8000 ლიტრი	მიწისქვეშა	ელექტრომექანიკური სამსახურის მთ. ინჟინერი ავთანდილ ჯოხაძე (მობ: 577 123338; ელ.ფოსტა Ajoxadze@metro.ge)
მე-20 ობიექტი - მუხიანის დასახლება პედაგოგიური კოლეჯის მიმდებარე ტერიტორია.	120'000 ლიტრი	მიწისქვეშა	ელექტრომექანიკური სამსახურის მთ. ინჟინერი ავთანდილ ჯოხაძე (მობ: 577 123338; ელ.ფოსტა Ajoxadze@metro.ge)

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის ტრანსპორტო კომპანია"

ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს იურისტი
კახაბერ გოგოლაძე

ხელშეკრულება №0300/10/001
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000010)

ქ. თბილისი

6 იანვარი, 2014 წ.

დანართი №3

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" №_____ ავტობაზა
მიღება-ჩაბარების აქტი №_____

ქ.თბილისი **"___" "_____"2014 წ.**

ერთის მხრივ მიმწოდებლის წარმომადგენელი_____
(თანამდებობა, გვარი, სახელი)

მეორეს მხრივ შემსყიდველის წარმომადგენლები:

შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" №_____ ავტობაზის მთავარი ინჟინერი _____,
(გვარი, სახელი)

საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი _____ და
(გვარი, სახელი)

საწვავის გამმართველი _____
(გვარი,სახელი)

ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს, რომ მიღებული იქნა:
_____
(საწვავის რაოდენობა ციფრით და სიტყვიერად, განზომილება)

საწვავს თან ახლავს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №_____ და შესაბამისობის სერტიფიკატი.
საწვავი გადაზიდულია ავტომანქანით:

მარკა _____

სახ.№ _____

მძღოლი _____

აღებული ნიმუშების რაოდენობა _____ ცალი, აღების თარიღი "_____"_____" 2014 წ.

ნიმუშები აიღო და დალუქა საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსმა _____
(გვარი, სახელი, ხელისმოწერა)

ერთი ნიმუში გადაეცა მიმწოდებლის წარმომადგენელს _____
(გვარი, სახელი, ხელისმოწერა)

საწვავი ჩაბარა _____
(ხელისმოწერა)

საწვავი მიიღო _____
(საწვავის გამმართველის ხელისმოწერა)

საწვავის მიღებას ვადასტურებთ:

თარიღი"____"_____" 2014 წ.

მთავარი ინჟინერი _____
(ხელისმოწერა)

საწვავ-საცხი მასალების ტექნიკოსი _____
(ხელისმოწერა)

თარიღი "____" "_____" 2014 წ.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

_____
ლევან კოპლატაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"

_____
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"-ს იურისტი
კახაბერ გოგოლაძე